სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

23.01.2017 № 10

თბილისი

სტუ-ს 2016 წლის 15 სექტემბრის
№172 ბრძანების ცვლილების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ასევე სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსისა და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის განცხადების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. შეტანილი იქნეს ცვლილება სტუ-ს 2016 წლის 15 სექტემბრის №172 ბრძანებაში და მე-2 პუნქტი, აგრეთვე პირველი დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. „3. უმაღლესი განათლების სწავლების ყველა საფეხურის, გარდა ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი და მეორე წლის სტუდენტებისა, აგრეთვე დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტებში სწავლების პირველი წლის სტუდენტებისა, პირველი შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს მე-7 სასწავლო კვირაში – 2016 წლის 21 ნოემბრიდან 26 ნოემბრის ჩათვლით, ხოლო მე-2 შუალედური გამოცდა (ტესტირება) – მე-14 და მე-15 სასწავლო კვირებში, 2017 წლის 16 იანვრიდან 28 იანვრის ჩათვლით (იხ.დანართი 1);
   ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი და მეორე წლის სტუდენტებისთვის პირველი შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს მე-10 სასწავლო კვირაში - 2016 წლის 12 დეკემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო მე-2 შუალედური გამოცდა (ტესტირება) - მე-15 სასწავლო კვირაში, 2017 წლის 23 იანვრიდან 28 იანვრის ჩათვლით (იხ.დანართი 1);
   დოქტორანტურის სწავლების პირველი წლის სტუდენტებისთვის სასწავლო კომპონენტებში პირველი შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს მე-6 სასწავლო კვირაში - 2016 წლის 21 ნოემბრიდან 26 ნოემბრის ჩათვლით, ხოლო მე-2 შუალედური გამოცდა (ტესტირება) მე-14 სასწავლო კვირაში, 2017 წლის 16 იანვრიდან 28 იანვრის ჩათვლით (იხ.დანართი $1^1$);
   დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2017 წლის 13 თებერვლიდან 25 თებერვლის

დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2017 წლის 13 თებერვლიდან 25 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები - 2017 წლის 27 თებერვლიდან 04 მარტის ჩათვლით (იხ.დანართები 1 და $1^1$);"

II. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი.ლომიძე);

III. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

ვიცე-რექტორი

*ლ. კლიმიაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის

უფროსი *ი. ლომიძე*

სამართლებრივი უზრუნველყოფის

დეპარტამენტის უფროსი *ბ. მაისურაძე*

*დანართი 1*

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## 2016/2017 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სასწავლო გრაფიკი

(გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა)

| სწავლების საფეხური | 10-15 ოქტომბერი | 17-22 ოქტომბერი | 24-29 ოქტომბერი | 31 ოქტომბერი - 05 ნოემბერი | 07-12 ნოემბერი | 14-19 ნოემბერი | 21-26 ნოემბერი | 28 ნოემბერი - 03 დეკემბერი | 05-10 დეკემბერი | 12-17 დეკემბერი | 19-24 დეკემბერი | 26-31 დეკემბერი | 01-08 იანვარი | 09-14 იანვარი | 16-21 იანვარი | 23-28 იანვარი | 30 იანვარი - 04 თებერვალი | 06-11 თებერვალი | 13-18 თებერვალი | 20-25თებერვალი | 27 თებერვალი - 04 მარტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კვირა | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | - | XIII | XIV | XV | XVI | XVII | XVIII | XIX | XX |
| სასწავლო კომპონენტები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| პროფესიული უმაღლესი<br>ბაკალავრიატი (გარდა ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სწავლების პირველი და მეორე წლის ჯგუფებისა)<br>მაგისტრატურა<br>დოქტორანტურა | სააუდიტორიო მეცადინეობები | | | | | | I შუალედური გამოცდები (ტესტირებები) | სააუდიტორიო მეცადინეობები | | | | | საშობაო არდადეგები | სააუდიტორიო მეცადინეობები | II შუალედური გამოცდები (ტესტირებები) | სააუდიტორიო მეცადინეობები II შუალედური გამოცდები (ტესტირებები) | სააუდიტორიო მეცადინეობები | | სესიები (დასკვნითი გამოცდები) | | დამატებითი გამოცდები ზამთრის არდადეგები |
| ბაკალავრიატი (ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სწავლების პირველი და მეორე წლის ჯგუფები) | სააუდიტორო მეცადინეობები | | | | | | | | | I შუალედური გამოცდები (ტესტირებები) | სააუდიტორო მეცადინეობები | | საშობაო არდადეგები | სააუდიტორო მეცადინეობები | | II შუალედური გამოცდები (ტესტირებები) | სააუდიტორო მეცადინეობები | | სესიები (დასკვნითი გამოცდები) | | დამატებითი გამოცდები ზამთრის არდადეგები |

*დანართი 1-ის გაგრძელება*

| სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მაგისტრატურა | კვლევა | | | საშობაო არდადეგები | კვლევა | სესიები (დასკვნითი შეფასებები/ დაცვები) | იხ. დანართი 2 |
| დოქტორანტურა (გარდა კომპონენტისა "დისერტაციის დასრულება და დაცვა") | კვლევა | | | | კვლევა | | იხ. დანართი 2 |
| დოქტორანტურა ("დისერტაციის დასრულება და დაცვა") | დისერტაციის დასრულება | დისერტაციის წინასწარი დაცვა | დისერტაციისა და ავტორეფერატის წარდგენა სადისერტაციო საბჭოში | საშობაო არდადეგები | მომზადება დისერტაციის დაცვისთვის | დისერტაციის დაცვა | იხ. დანართი 2 |